რიც არის ჩვენი პარტია, თავის შეუცვლელი ბუნების პროგრამით,—არ შეუძლია და არც უნდა ზრუნავდეს ოპორტუნისტულ მოტივებზედ რეაქციის პერიოდში. რევოლიუცია შეიძლება იყოს ოპორტუნისტური, ზოგჯერ კიდეც უნდა იყოს ასეთი, მაგრამ რევოლიუციონერის ვალია, როცა რეაქცია მძვინვარებს, იდგეს შეურყეველ წინააღმდეგობის პოზიციაზედ. მხოლოდ მაშინ გახდება ის ახლობელი, გასაგები და საყვარელი მასისათვის. ასე რომ ჩვენ ეხლა სრულიად არ გვაწუხებს—გავიმარჯვებთ თუ დავკარგავთ პარტიულ ყრილობაზედ. საჭიროა დაჩქარებით ვეჩვენოთ ქვეყანას ისეთებად, როგორიცა ვართ. და ჩვენ ვსდგებით მარცხნით სწორედ იმიტომ, რომ თითქოს, ყველაფერი მარჯვნით მიდის.

ჩვენთვის სასურველია, რომ ეს სიარული მარჯვნით და მარცხნით კარგათ გაიგონ ამხანაგმა მუშებმა. ვინც რა უნდა სთქვას; ბურჟუაზიული ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა ისეთ გასაჭირში როგორც ეხლა და ის, რასაც სთვლიან სოციალისტური კრიზისად, არის უწინარეს ყოვლისა კრიზისი მმართველი კლასის, მისი ინსტიტუციებით, წესებით, ეკონომიური სისტემით, რომელიც ირღვევა ნაწილებად. ამ რიგად კაპიტალისტური ქვეყანა მიდის დაცემისაკენ და ჩვენ უნდა გვეჭიროს არა მარჯვნით, არამედ მარცხნით, მიუხედავად ბრმა რეაქციისა და რეკონსტრუქციონური წვრილ-ბურჟუაზიულ უტოპიისა.

მარცხნით წასვლა ნიშნავს გაჰყვე მოვლენებს, რომელნიც მართლადაც რევოლიუციონურია. საკმაოა მიაქციოთ ყურადღება მას, რაც ხდება აღმოსავლეთში; საკმაოა დაუკვირდეთ ევროპულ წოდებულ კულტურულ სახელმწიფოთა ურთიერთობას: საკმაოა გადახედოთ ყველა ქვეყნების ეკონომიურ პირობებს; საკმაოა შენიშნოთ, როგორ დანგრეულია მთელი შენობა „სამართლიანი და ხანგრძლივი“ ზავისა, რომელიც სამი წლის უკან დაიდო ვერსალში,—რომ გავიგოთ, რომ ბურჟუაზიული ქვეყანა წყევლა ეძიებს ალორძინებს, რომ მან დაჰკარგა წონასწორობა და ახლო მომავალში უეჭველად უნდა აიტანოს ახალი შეტევა სარევოლიუციო ელემენტებისაგან, რომელთაც შიგნით ატარებს.

წარმოგიდგენიათ თქვენ სოციალისტური პარტია, რომელიც ასეთ პირობებში „რეკონსტრუქციას“ ეწეოდეს? წარმოგიდგენიათ პროლეტარული პარტია, რომელიც იმ დროს, როცა ხორციელდება მარქსისტული წინასწარმეტყველებანი შესახებ ბურჟუაზიული საზოგადოებისა, რომელიც იშლება საკუთარი შინაგანი კრიზის გამო, რომლის ნიშანია არსებული რეაქცია,—ცდილობდეს შეაჩეროს ჩასაძირავად განზრახული გემი? წარმოგიდგენიათ სარევოლიუციო პარტია, რომელიც ეძებს შეთანხმებას, ევროპულ წოდებულ დემოკრატიულ მოსაშუალე ფენებს შორის, რომ შეაჩეროს რევოლიუცია?

მაშასადამე ჩვენ მივდივართ იქით, საითაც უნდა მივდიოდეთ ბუნებრივად. მაგრამ იტალიის კომუნისტები? იტალიის კომუნისტებთან ჩვენ არა გვაქვს არავითარი დამოკიდებულება, გარდა იმისა, რაც გამომდინარეობს პროლეტარიატის დასაცავი ერთიანი ფრონტისაგან. ყოველივე ეს ჩვენთვის უფრო საჭიროა, ვიდრე გადაჭარბება პოლემიკური სისულელისა, რომელთაც თავისი თავი კარგი რევოლიუციონერი ჰკონია, რაკი მშვენიერი გაიძვერაა. ჩვენ არც ერთს ვემხრობით და არც მეორეს. ვინაიდან მოხსენების პოლიტიკური მოძრაობა არც ერთის გასალიზიანებლად არის შექმნილი და არც მეორის საჩხვლეტად. მასსა უნდა გაჰყვეს საკუთარ გზას, საკუთარი განთავისუფლებისათვის. და ნამდვილი რევოლიუციონერი ისაა, ვისაც ადვილად შეუძლია შესწიროს საკუთარი პერსონი ამ განთავისუფლებას.

მოსკოვთან, რომლის პროგრამა, მიზნები და მეთოდები ჩვენიცაა, რომლის ტანჯვა და ბრძოლა ჩვენთვის წმინდაა,—ჩვენ გვქონდა მოსკოვთან უთანხმოებანი ტაქტიკური ხასიათისა, რომელიც წარმოსდგა იმისგან, რომ ჩვენა ვფიქრობდით,—აუცილებელი იყო თვითონ გადაგვეწყვიტა ჩვენი შინაური საქმეები, საკუთარი საშუალებებით და ადგილობრივ პირობების ცოდნით. მოსკოვმა ვერ გაიგო ჩვენი და მოგვიწოდა, ჩვენ ვმოქმედობდით ისე, თითქოს მუდამ მისი ახლობელი ვიყავით მაშინაც, როცა წვრილ-წვრილ უთანხმოებას ჰქონდა ჩვენ შორის ადგილი, ვინაიდან ჩვენ არას დროს არ აგვიღია ხელი აზროვნებაზედ და არც ავიღებთ. უთანხმოებანი, ვფიქრობთ, უმეტესად გადასწყვეს მოვლენებმა. და მათი ბუნებრივი, მოულოდნელი გადაწყვეტა გვაყენებს ჩვენ იმავე მდგომარეობაში, როგორშიაც ვიყავით ბოლოში 1919 წელს, იმ დროს, როდესაც ნამდვილი ცენტრისტები, ე. ი. ისინი, ვინც ეძებს ბურჟუაზიასთან შეთანხმებას—მიდიან ლონდონში ინტერნაციონალ-პატრიოტებთან და „სადღეგრძელო ერთობასთან“—იმ დროს ჩვენ ვრჩებით თავის გზაზედ და ველით იმ მომენტს, როცა შეხვდებით მათ, ვინც იბრძვის ჩვენსავით, დამოუკიდებლად წარმოებისაგან.“

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ლედებურის ჯგუფის მანიფესტი.** ოქტომბრის 4-ს გამოქვეყნდა ყოველ-კვირეული გამოცემა ლედებურის ჯგუფისა. „კლასენ კამპფ“ („კლასთა ბრძოლა“). საპროგრამო მანიფესტში პარტიათა დროებითი პრეზიდიუმი ახასიათებს ორივე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გაერთიანების ნირენბერგში, როგორც დაბრუნებას რევიზიონიზმისაკენ და ამ აზრით დამახასიათებლად მიაჩნია სოც.-დემ. წასისიანება კომუნისტების მიმართ. შემდეგ მანიფესტი ამბობს: იმ მიზნით, რომ აცილებულ იქმნეს გამწვავება განხეთქილებისა პროლეტარიატის ოჯახში, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც განდევნა თავისი წრიდან სახელ გატეხილი ბელადები, უნდა განაგრძოს თავისი არსებობა და შეეცადოს გაერთიანებას სოც-დემ. და კომუნისტებს შორის კლასთა ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ, ეხება რა კენჭის ყრის შედეგებს გაერთიანების შესახებ, ლედებურის ორგანო აღნიშნავს, რომ საშუალოდ დამოუკიდებელი პარტიის $^3/_4$ წევრმა ხმა მისცა გაერთიანებას და $^1/_4$—წინააღმდეგ. ბერლინის ოლქმა, საიდანაც არჩეული იყო ყრილობაზედ ლედებური, გაერთიანების წინააღმდეგ 54 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 41 ხმისა. გაერთიანების წინააღმდეგ წავიდა აგრეთვე დიდი უმრავლესობა კრეველდის ოლქისა. როგორც ირონიულად იუწყება „ფორვერტსი“, პარტიის პრეზიდიუმის წევრი რაუ რომელმაც ხელი მოაწერა ამ მანიფესტს, ახლა უკვე გადავიდა გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. „როტეფანე“ ადასტურებს, რომ მდგომარეობის ლოღიკა აიძულებს ლედებურის ჯგუფს მივიდეს მჭიდრო გაერთიანებამდე კომუნისტებთან. „ამ ჟამად,—განაგრძობს გაზეთი, გერმანიის პროლეტარიატის წრეებში არის ადგილი მხოლოდ ნამდვილ—რევოლიუციონურ და ნამდვილ რეფორმისტულ პარტიებისათვის“

# ჩვენი პროფესორი

(ალ. ცაგარელის იუბილეს გამო)

ქართველი პროფესურა და ქართველი სტუდენტობა ერთის მხრით და მთელი ქართველი ერი მეორეს მხრით, უჩვეულო სიხარულით ხვდება ჩვენი სახელოვან დამსახურებულ პროფესორის 50 წლის იუბილეის გამართვის ამბავს.

ნახევარი საუკუნე სამეცნიერო სარბიელზე მოღვაწეობა დამსახურებული პროფესორის ალექსანდრე ცაგარელისა, მრავალი მნიშვნელოვანი მომენტებით ხასიათდება. მთელს მის მუშაობას წითელი ზოლივით გასდევს წმიდა გრძნობა ეროვნული კულტურის სიყვარულისა, ამ მიზნითვე არის ამოძრავებული მისი ინტელექტუალური ენერგია და ძლიერი ნებისყოფა. ჩვენმა პროფესორმა თავისი დიდი ცოდნა უმთავრესად ქართული ლიტერატურის და ისტორიის პრობლემების რკვევასა და ძიებას მოახმარა.

ჯერ კიდევ სკოლის სკამზე იჯდა პატივცემული პროფესორი, როცა გარკვევით და ნათლად ემჩნეოდა მას გატაცება ჩვენი ლიტერატურითა და სიჭაბუკის წელშივე მოჰკიდა ხელი თავის მადლიან კალამს ქართული მწერლობის სამსახურისათვის.

ალექსანდრე ცაგარელის სამწერლო-სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა ახლო წარსულს არ ეკუთვნის; ის თავის მოღვაწეობას წარსული საუკინის სამოციან წლებში იწყებს, როდესაც ქართული კულტურის საზოგადო ხელახლა ყალიბდებოდა რუსეთთან პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ და ჩვენი სიტყვა გამოკვეთილ ფორმაში ესხმებოდა.

ალ. ცაგარელის ნიჭიერი კალამი ამდროს ძლიერ საჭირო იყო ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის, ვინაიდან მან იმ თავითვე დიდი ყურადღება მიაქცია ქართული ლიტერატურის და საისტორიო მასალების შესწავლას და მრავალი ყურადსაღები შრომა გამოაქვეყნა, როგორც საქართველოს შორეული წარსულიდან ისე თანამედროვე ხანიდან, ეს შრომები უმთავრესად რუსულ ენაზე იწერებოდა იმ მიზნით, რომ ქართულის ენის არ მცოდნეთ მისცემოდათ საშუალება ქართული კულტურის გაცნობისა, ეს საჭირო იყო განსაკუთრებით რუსებისათვის, რომლებიც „უკულტურო“ ერად სთვლიდენ ქართველ ხალხს და არც კი გვიცნობდენ იმ პოლიტიკური ფორმის „ღირსად“ რომელშიაც მაშინ ვიყავით ჩაყენებული, და ამ დროს ყოველ ისეთ ნაშრომს, რომელიც ჩვენი ერის კულტუროსნობის ღირსებას არკვევდა და ამავე დროს იწერებოდა იმ ენაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მათთვის, რა თქმა უნდა უმაღლესი მნიშვნელობის და დაუფასებელი ღირებულების უნდა ყოფილიყვნენ ჩვენთვის. ასეთი ტიპის ნაშრომთ ეკუთვნის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელის ყველა წიგნები, რომლებიც უხვ მასალას იძლევიან იმ სპეციალური კურსებიდან, რომელთა გარკვევის და შესწავლის მიზნითაც არიან ეს წიგნები დაწერილი.

ამ პატარა მისასალმებელ წერილში შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა ის ნაწარმოებები, რომლებიც ბ-ნ ალ. ცაგარელის კალამს ეკუთვნიან.

ჩვენს სინამდვილეში, ვერც ერთი ისტორიკოსი მკვლევარი, და მით უმეტეს ისტორიულ-ფილოლოგიური დარგის სტუდენტობა ვერ ასცდება აღნიშნულ შრომებს, თუ მას მართლა საქმე აინტერესებს—და დროს უბრალო ფლანგვის სურვილით არ არის გატაცებული.

ღირს შესანიშნავია და მბრწყინავი შარავანდედით არის მოცული ჩვენი სახელოვანი პროფესორის წარსული, მისი ნააზრევი მარტო ქართულ ეროვნულ საკუთრებას როდი შეადგენს, არამედ მას იცნობს როგორც რუსული, ისე ევროპიულ ლიტერატურის მკითხველი საზოგადოება, ვინაიდან პროფ. ცაგარელს ევროპიულ ენებზედაც დაუწერია რამდენიმე გამოკვლევა.

ჩვენი საყვარელი პროფესორი, სულიერი მამა ქართველი სტუდენტობისა, პატივსაცემია იმისთვისაც, რომ დღესაც არ ზოგავს თავის თავს და მიუხედავად თავის მოხუცებულებისა, თავის უკანასკნელ ენერგიას ისევ ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარჯავს და კვლავ სტუდენტთა გათვითცნობიერების საქმეს უდგას ერთგულ დარაჯად.

ჩვენ, ქართველი სტუდენტობა, ამას ვგრძნობთ, ვაფასებთ, მაგრამ სპეტაკი სიყვარულის თაიგულის მეტს, ვერაფერს მიუძღვნით მას.

ჩვენ მეტი არაფერი შეგვიძლია, მხოლოდ ეს კი არის, რომ ჩვენი სულიერი გრძნობის არსში უკვდავების ძეგლი აუგოთ ჩვენ ძვირფას პროფესორს და მის სიტყვა უშრეტ ნაკადულათ გადავსცეთ მომავალ თაობას.

სტ. გ. თავზარაშვილი.

# ახლო აღმოსავლეთი

**მოლაპარაკება ახლო-აღმოსავლეთის საკითხის შესახებ**

**პარიჟი 14 ოქტ.** გაზ. „კორიერა დელა სერა“ იტყობინება პუანკარეს და შანცერის წინასწარ მოლაპარაკებაზე ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ. მოლაპარაკება მოხდა პარიზში.

**ლოიდ ჯორჯის განცხადება**

**მოსკოვი 15 ოქტ.** ლოიდ ჯორჯმა განუცხადა მუშათა პარტიის ლიდერებს, რომ სრუტეების თავისუფლების საკითხში მას არ შეუძლია არავითარი დათმობა და არ შეუძლია დაუშვას ნეიტრალური ზონების ოკუპაცია საზავო კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმებამდე. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გამო ლოიდ ჯორჯმა სასტიკი დამარცხება განიცადა.

**ოსმალოების წინსვლა**

**მოსკოვი 15 ოქტ.** ლონდონში დიდ შეურ-ზაურს იწვევს ოსმალოების შეჭრა იზმიდის ნეიტრალურ ზონაში.

**სირია და ანატოლია**

**მოსკოვი 15 ოქტ.** სირია და ანგორის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, ხელშეკრულების მიზანია სირიასა და ანატოლიის შორის შეწყვეტილ სავაჭრო ურთიერთობის განახლება.

**მუდანიის შეთანხმება**

**მოსკოვი 15 ოქტ.** მუდანიის შეთანხმებას ხელი მოაწერეს ყველა დელეგატებმა გარდა ბერძნებისა.

**ბულგარეთ-რუმინეთის საზღვარი**

**მოსკოვი 15 ოქტ.** ბულგარეთ-რუმინეთის საზღვარი ორი კვირით დაიხურა.

**რუსეთი კონფერენციაზე**

**მოსკოვი 15 ოქტ.** ანგორის გავლენიან წარმომადგენელმა ნური-ბეიმ განაცხადა, რომ ... კონფერენციაზე მონაწილეობას, მაგრამ მხოლოდ რუსეთთან ერთად.—... აგრეთვე კონფერენციაზე საქართველოს და უკრაინის დაშვება.

**საბჭოთა რესპუბლიკების საზავო კონფერენციაზე მონაწილეობა.**

**პარიჟი, 16 ოქტ.** საიმედო ცნობებიდან „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში იხილავენ ახლო აღმოსავლეთის საზავო კონფერენციაზე რუსეთის დაშვების საკითხს. რუსეთი მოითხოვს მისი კონფერენციის სრულ-უფლებიან წევრად დაშვებას, საფრანგეთის აზრით კი რუსეთს კონფერენციაზე დასწრების უფლება უნდა მიენიჭოს სრუტეების შესახებ საკითხების განხილვის დროს.

**საბერძნეთის პროტესტი.**

**ბაღდა, 16 ოქტ.** საბერძნეთის მთავრობამ მუდანიის შეთანხმებაზე ხელის მოწერასთან ერთად შეიტანა თავისი პროტესტი ამ შეთანხმების წინააღმდეგი.

**პოლიტისის ჩამოსვლა ათინაში.**

**პარიზი 16 ოქტ.** შაბათს ათინაში ჩამოვიდა პოლიტისი, რომელიც მიიღებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს.

**ჩანაკასთან.**

**პარიზი, 16 ოქტ.** ოსმალებმა მოხსნეს თავის ჯარების ჩანაკი ფრონტიდან.

# უცხოეთი

**ვლადივოსტოკის ევაკუაცია**

**მოსკოვი. 15 ოქტ.** იაპონელების მიერ ვლადივოსტოკის ევაკუაცია დაიწყო. იგი დამთავრდება 25 ოქტ.

**სპარსეთი**

**სპარსეთის ნავთი.**

**მოსკოვი. 14 ოქტ.** ინგლისის გაზეთების ცნობით სპარსეთის მთავრობამ დასდო საკონცესიო ხელშეკრულება ჩრდილოეთ სპარსეთის ნავთიან ადგილების დასამუშავებლად საზოგადოება „სტანდარტ ოილ“ და „სინკლერის“ ფირმებთან. ამ ხელშეკრულების დადებას აქვს კავშირი სპარსეთის მთავრობის მიერ ამერიკისაგან სესხის აღებასთან.

**ინგლისი და სპარსეთი**

**მოსკოვი. 15 ოქტ.** ინგლისის საელჩომ მოსთხოვა სპარსეთის მთავრობას იმ ადგილობრივ მუშათა გაზეთის დახურვა, რომელმაც ერთ-ერთ წერილში გაილაშქრა ელჩის წინაშე და დასწერა „ელჩი სიცრუეს ლაპარაკობსო“. გაზეთმა მეორე დღეს განაცხადა, რომ ის უარს ამბობს სიტყვა „სიცრუეზე“, რომელიც არ შეეფერება მის სტილს მაგრამ არსებითად იგი რჩება თავის თვალსაზრისზე, რომ ელჩი სიმართლეს არ ლაპარაკობს. როდესაც ის ელის სპარსეთში მეჰ...ომიიდან ინგლისელების მიერ გამოგზავნილ ლიდერების ჩამოსვლას. (გამოტოვებულია) მათ მშობლების და მათ სურვილით წავიდნენ გასასეირნებლად. ინგლ. საელჩო დაჟინებით მოითხოვს გაზეთის დახურვას.

**ინგლისი**

**ჩემბერლენის სიტყვა**

**მანჩესტერი. 14 ოქტ.** ჩემბერლენმა თავის სიტყვაში ინგლისის შინაური პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ სხვათა შორის განაცხადა, რომ კაბინეტის კონსერვატორი წევრები იზიარებენ ლოიდ ჯორჯის პოლიტიკას და მემარჯვენე ამომრჩეველთა წინააღმდეგ მოითხოვა ახალი დიდი კოალიციისათვის. ჩემბერლენმა კოალიციის აუცილებლობას ხაზი გაუსვა იმ მოსაზრებით, რომ მუშათა პარტიის გამარჯვებას შეუძლია დიდი საშიშროება შექმნას.

**სახიფათო გაფრთხილება**

**პარიზი.** მატენის ცნობით, ინდოეთის დიდი ქალაქის მუსულმან მოსახლეობამ გაუგზავნა დეპეშა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომელშიაც აღშფოთებას გამოსთქვამს ინგლისის ანტი-ოსმალურ პოლიტიკის გამო და აცხადებს, რომ ასეთ პოლიტიკის გაგრძელების დროს შესაძლებელია მუსულმანების მღელვარებამ მიიღოს გრანდიოზული ხასიათი, რასაც არა სასიამოვნო შედეგი ექნება ბრიტანიის კაბინეტისათვის.

**ინგლისი.**

**ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ**

**მოსკოვი. 15 ოქტ.** „ობსერვერი“, რომელიც მხარს უჭერდა ლ.-ჯორჯს, ახლა მოითხოვს მის გადადგომას. ამავე იმეორებენ სხვა გაზეთები. შესაძლებელია, რომ ლ.-ჯორჯი ახალ არჩევნების დაწყებამდე გადადგეს.

**რუსეთი და საფრანგეთი**

**მოსკოვი. 15 ოქტ.** ვარშავიდან იუწყებიან, რომ ერიოს პიხის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მოსკოვში საფრანგეთის საჭირო წარმომადგენლობის გაგზავნის და პარიზში რუსეთის საჭიროო შორის ჩამოსვლის დრო უკვე დადგა.

# რუსეთი

**მოსკოვი. 14 ოქტ.** სახალხო განათლების კომისარიატმა გააუქმა თავისი დადგენილება სმოლენსკის უნივერსიტეტის დახურვის შესახებ, რადგანაც მისი ხარჯები იკისრა საგუბერნიო აღმ. კომიტეტმა.

**რუს. ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის ყრილობა**

**მოსკოვი. 14 ოქტ.** ამხ. ბუხარინმა სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის ყრილობაზე ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში კომუნისტურ აღზრდის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში განაცხადა: ახლო მომავალ წლებში სასტიკი ბრძოლა იქნება გამართული კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის და იმ წარმოებათა შორის, რომელნიც მუშურ სახელმწიფოს ხელში იმყოფებიან, ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ეს გრანდიოზული სტრატეგიული შემოვლაა მოწინააღმდეგისა. თუ ჩვენ არ გვეყოლება საკმაო კადრი, ყველა სფეროში საკომანდო პოსტები დაკავებული იქნებიან არა პროლეტარულ ელემენტების მიერ. ეს თუ მოხდა, დაიწყება არა პირდაპირი გზით დაბრუნება კაპიტალიზმისაკენ. ამრიგად კომუნისტური ახალგაზრდობის აღზრდას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეხლა ჩვენთვის დაღებითი მოვლენაა. მუშათა კლასის მდგომარეობა უმჯობესდება და ჩვენი მატერიალური საშუალებები სტკიცდება. მაგრამ მოწინააღმდეგე გადავიდა იდეურ ფრონტზე. ჩვენ ყველა ძალები უნდა შემოვკრიბოთ და ამ ფრონტზე ბრძოლა გავაჩაღოთ. აგრეთვე ... უნდა უქნათ ახალგაზრდა მუშათა წრეებში წერა-კითხვის უცოდინარობას.

აგრეთვე უნდა შემოიღონ ელემენტარული კომუნისტური განათლება კომუნისტურ ახალგაზრდობის ფართე მასებში. საჭიროა განსაზღვრული კვალიფიკაცია და მისწრაფება განსაზღვრულ პროფესიის და მეცნიერების დარგის.

**რუსეთ პოლონეთის ურთიერთობა.**

**მოსკოვი. 15 ოქტ.** რუსეთის სრულ-უფლებიან წარმომადგენელმა პოლონეთ-

ში, ობოლენსკიმ, ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ უკანასკნელ დროში რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობას გაუმჯობესება ემჩნევა. ახლო მომავალში მოსკოვში ჩამოვა პოლონეთის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი და გამართავს მოლაპარაკებას სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

პოლონეთი თანახმაა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე, სადაც განიარაღებასთან დაკავშირებული საკითხები.

**კავშირის მუშაკთა ყრილობა.**

**მოსკოვი.** 15 ოქტ. 20 ოქტომბერს გაიხსნება სრულიად რუსეთის კავშირის მუშაკთა ყრილობა. ყრილობას დაესწრება საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელი.

**ვრანგელის მომხრენი.**

**მოსკოვი.** 15 ოქტ. როსტოვში ჩამოვიდა 4 000 ყოფილი ვრანგელის მომხრე ოფიცრები და ჯარის კაცნი. მოელიან კიდევ 5.000 კაცის ჩამოსვლას.

**სრულიად რუსეთის ცენ. აღმასრ. კომიტეტის სესია.**

**მოსკოვი.** 15 ოქტ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იქნა სრულიად რუსეთის ც. ა. კ-ის მე-3-ე სესიაზე აღნიშნულია, რომ უკრაინის ბიუჯეტი 1922—1923 წ. გაუმჯობესებას იწყებს სახელმწიფოს რესურსები მოხმარდება ტრანსპორტს, სასოფლო მეურნეობას და წითელ არმიას.

სესიის მიერ გამოყოფილმა კომისიამ უკრაინის ადმინისტრატიულად დაყოფის შესახებ, მხარი დაუჭირა ოდესის და ნიკოლაევის გუბერნიების და აგრეთვე ეკატერინოსლავის, კრემენჩუგის და ზაპოროჟიის გუბ. ერთ გუბერნიაში გაერთიანებას.

**სამიწო კანონების კოდექსი.**

**მოსკოვი.** 15 ოქტ. მიწათ-მოქმედების კომისარიატმა დაამტკიცა პროექტი. კოდექსი გადაცემულია სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად. კოდექსი აწესებს მიწაზე, წყალზე, ტყეებზე და ბუნების ცოცხალ ძალებზე კერძო საკუთრების გაუქმების შეურყევლობას.

# გერმანია და ანტანტა

**კანონ-პროექტი გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემის შესახებ.**

**ჰანოვერი,** 14 ოქტ. ბრადბიურის კანონპროექტის საპასუხოდ გამოქვეყნდა საფრანგეთის მთავრობის კანონ-პროექტი. გაზეთის საგენტო ამბობს, რომ როგორც წინადაც აღნიშნავდა საფრანგეთის პრესა, კანონ-პროექტი გერმანიისათვის 5 წლის მორატორიუმის მიცემის შესახებ, მიუღებელია. საფრანგეთისათვის საკონტრიბუციო კომისიის რეზოლუცია სრულიად უნაყოფოა, სანამ მოკავშირე სახელმწიფოები ნოემბრის დამლევს ან დეკემბრის დასაწყისში არ შეიკრიბებიან ბრიუსელის კონფერენციაზე და იქ არ განიხილავენ საკონტრიბუციო საკითხს.

**გაზ.** „ფოსიშე ცეიტუნგის" პარიზის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბრადბიურის სიტყვით, ინგლისის და საფრანგეთის პრესის ცნობები კანონ-პროექტის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება. ასე, მაგალითად ეს კანონ-პროექტი სრულიადაც არ მოითხოვს გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემას.

**გაზ.** „ფოსიშე ცეიტუნგი" თავის მხრივ ამბობს, რომ ბრადბიური არ მოითხოვდა გერმანიის გადასახადების ვადების გაგრძელებას, არამედ მხოლოდ მოითხოვდა ოქროს ფულის ქაღალდის ფულის ნიშნებით 5 წლით შეცვლას.

# ახალი ამბები

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ რომ ყველა აქამდე არსებული სათეატრო უფასო ბილეთები გაუქმებულია და გამომუშავებულია შემდეგი ახალი სია უფასო ადგილებისა, როგორც ოპერა ისე დრამაში.

სია სახალხო კომისართა მიერ დამტკიცებულ უფასო ადგილებისა სახელმწიფო აკადემიურ თეატრებში 1922 1923 წლის სეზონში. ოთხივე ლიტერიანი ლოჟები: 1) მთავრობის: ს. ც. ა. კ.—ჩ. კ. ს. 2) ალარიცხოს განსაკუთრებით ს. კ. საბჭოს სახელზედ, 3) სახ. განათ. კომისარიატს, სამხატ. მთავარ კომიტეტს, სათეატრო განყოფილებას, სამუსიკო განყოფ. და სხვა, 4) სამხედრო რევოლიუც. საბჭოს—აბონემენტ; ბენუარის ლოჟები. ს—ტ. კ—ს. ქალაქის აღმასკომს, პროფკავშირთა საბჭოს, ხელოვნური მუშ. კავშირს, 3—მსახიობთათვის.

პარტერში 1-ლ რიგი მილიციის უფროსს, ქალაქის კომენდანტს და სახელმწიფო თეატრების პოლიტიკურ კომისარს. მე-2 რიგი: სახელმწიფო აკადემიური თეატრების გამგეს, საოპერო თეატრის გამგეს, სამხატვრო ნაწილის გამგეს. მე—3 რიგი. საქ. განსაკუთრებულ კომიტეტს, „პრავდა გრუზიას", „კომუნისტს", „ზარია ვოსტოკას", „ტრიბუნას", ცეცხლის მქრობელთა რაზმის ინსტრუქტორს, მორიგე ექიმს, მორიგე ადგილი პრესისათვის. ამფიტეატრში. ოპერის რეჟისორს, სამეურნეო-ტექნიკურ ნაწილის გამგეს, ადმინისტრატორს მორიგე სავარძელი.

— **ზაგი ჭირი.** ამ დღეებში, ქალაქის ვეტერინალურმა მეთვალყურემ, „სალდათის ბაზარზე", აღმოაჩინა იშვიათი შემთხვევა ზაგი ჭირის მუწუკისა, დორის ხორცი მოისპო.

— **თეატრების დათვალიერება** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შესდგა კომისია, თეატრალური შენობათა დასათვალიერებლად. ცეცხლის მქრობელი რაზმის ქვეგანყოფილებისაგან დანიშნულია ამავე განყოფილების გამგე ი. ი. მასხი და ქალაქის აღმასკომისაგან ქალაქის რაიონის ინჟინერი მ. ა. აბესალომოვი.

— **შემოწირულებანი.** ქალაქის აღმასკომის სალაროში ამხ. კამოს სახლობის სახლის ფონდის გასაძლიერებლად შემოვიდა შემდეგი შემოწირულებანი: 1) ოქტ. 5 22 წ. ამიერ კავკასიის სოც. საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულ კავშირის თანამშრომლებიდან 5.495 000 მან. 2) ამიერ კავკასიის სოც. საბჭოთა რესპ. საკავშ. საბჭოს ადგილობრივ კომიტეტისაგან 5.000.000 მან 3) 9) 10 22 წ. ა) თამბაქოს ტრესტისაგან 15 000,000 მან. ბ) სახალხო მეურნეობის მთავარ საბჭოსაგან 20.000.000 მან. გ) სამთო კომიტეტისაგან 10.000,000 მან. დ) საწყობ განყოფილებისაგან 5.000.000 მან. ე) საქართ. საბჭოს კავშირისაგან 10.000.000 მან.

სულ 70,595.000 მან.

— **ახალი წიგნი.** შეტანილია სახელმწიფო გამომცემლობის სიაში დასაბეჭდად და გამოსაცემად მასწავლებლის ივ. გომელაურის მიერ შედგენილი წიგნი 1 ლი და 2-რე ნაწილი მოწონებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს და განათლების კომისარ. პროფ. განათ. მთავარ მართველობის მიერ.

— **მუშ. თა ფაკულტეტი.** სახ. უნივერსიტეტის არსებულ მუშათა ფაკულტეტზე ორშაბათს 9 ოქტომ. დაიწყო ლექციების კითხვა. ჯერ ჯერობით ყველა ლექციებს დაწყება არ ხერხდება რადგან მუშათა ფაკულტეტი წესიერად ვერ იღებს ელექტრონის განათებას. მსმენელთა რიცხვი დღეს-დღეზე მატულობს, რაიც აიხსნება იმით რომ პროვინციიდან დიდძალი მსმენელები მოაწყდა ფაკულტეტს. პროვინციიდან მარტო ამ კვირაში მიღებულია 60 მსმენელი ჩვენდა სამწუხაროდ ბინის საკითხი მსმენელთათვის ჯერ-ჯერობით მოუწყობელია. საცხოვრებელი სახლის გახსნა გვიანდება საბინაო განყოფილების მიზეზით, რომელიც ამ საკითხში არავითარ მონაწილეობას არ იღებს.

— **ხუთშაბათს** 19 სექტ. საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კოლუბანის), 3) დანიშნულია კავშირის წევრთა საერთო კრება ურთიერთ დახმარების სალაროს დასაარსებლად. დღის წესრიგი: 1) სალაროს წესდება 2) სალაროს ბიუროს არჩევნები. 3) სარევიზიო კომისიის არჩევნები დასწრება ყველა წევრებისა სავალდებულოა პროფდისციპლინის წესით.

# სახალხო კომისართა საბჭოში

**საქართველოს რესპუბლიკის გამასწორებელ სახლების რემონტი.** სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა 24.207 მან. (ოქროთი) რაოდენობის ხარჯთ-აღრიცხვა რესპუბლიკის გამასწორებელ სახლების რემონტისათვის. ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა ტფილისის გამასწორებელ სახლების შეკეთებისათვის საჭირო თანხა მისცეს იუსტიციის კომისარიატს პირველ რიგში.

**ქალაქ ტფილისის აღმასკომის ფინანსიური მდგომარეობა.** ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. წივწივაძის მოხსენების გამო, აღმასკომის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: ქალაქ ტფილისის აღმასკომის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადაეცეს მას ყველა წისქვილები, რომლებიც არიან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში და წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს აძლიოს ქალაქის აღმასკომს ყოველთვიურად თითო მილიარდი მანეთი. გარდა ამისა გადაწყვეტილია რესპუბლიკის მილიციის ტანისამოსისათვის დანიშნულ ფონდიდან მიეცეს აღმასკომს იმ თანხის 50 პროცენტი, რომელიც საჭიროა ქალაქის მილიციის შესამოსავად.

**სესხი განათლების სახალხო კომისარიატს.** განათლების სახალხო კომისარიატს გაეხსნა კრედიტი ხუთი მილიარდი მან. საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად და 35 მილიარდი მანეთი აკადემიური თეატრის საჭიროებისათვის.

# ბათომის ბირჟა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ბათომის სავაჭრო-სავალიუტო ბირჟა დაარსდა ამ 7 თვის წინად თავიდანვე ბირჟას ბევრი დაბრკოლება შეხვდა, რაც ხელს უშლიდა მის წესიერ მუშაობას და მით შესაფერ სარგებლობის მოტანას როგორც კოოპერატივთა და სახელმწიფო დაწესებულებათა, ისე ბათომის ვაჭარ მრეწველთა მიმართ.

ერთი უმთავრესი შემფერხებელი მიზეზი იყო ბინის უქონლობა. ბირჟა მოთავსებული იყო სანაპირო ქუჩაზე იტალო-კავკასიის ბანკთან და მით შეზღუდული თავისუფალი მოქმედებისათვის.

არა ნაკლები ზიანი მოუტანა ბირჟას ერთი პირის თავისუფალმა თარეშმა, რომელმაც თავის ნებით მიითვისა ბირჟის მართველის როლი, მოაშორა ბირჟას კოლეგიის მიერ არჩეული მცოდნე და კეთილ-სინდისიერი მუშამავლები, (მაკლერები), თვითონვე იკისრა მათი როლი, გაიჩინა ვიღაც უცნობი აგენტები და მით შეიტანა ბირჟის ფუნქციაში ერთგვარი არევ-დარევა, გაუტეხა ბირჟას სახელი და მოაშორა კლიენტები.

საბედნიეროდ ასეთი მოვლენა არ გაგრძელდა დიდხანს. ამ ორი თვის წინ 2—3 კაცის ინიციატივით შესდგა საორგანიზაციო კომისია და მედგრად შეუდგა ბათ. ბირჟის რეორგანიზაციას. კომისიამ მოუპოვა ბირჟას ახალი ბინა, მოახდინა ორჯერ ვაჭარ-მრეწველთა დიდი კრება, სადაც არჩეულ იქნა საბირჟო კომიტეტი თავის პრეზიდიუმით. საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმი მხნედ შეუდგა საორგანიზაციო მუშაობას, შეადგინა ბირჟის წესდება და საჭირო ინსტრუქციები, მოაშორა ბირჟას ზემოაღნიშნული მავნე პირი, აირჩია ბირჟაზე სამუშაოდ ექვსი მცოდნე და კეთილსინდისიერი კომისიონერი, (ბირჟის მაკლერები) ამ სახით ბირჟის მოქმედება ჩააყენა სათანადო კალაპოტში.

ასეთ სამჩნევ ცვლილებებს ბირჟაზე ანგარიში გაუწიეს ბათ. ვაჭრებმა, რომლებიც ამ ბოლო დროს ასობით ეწერებიან წევრებად, შემოაქვთ საწევრო გადასახადი, რაც მეტად მინიმალურია. ბირჟა ყოველ დღე აწვდის მათ ბიულეტენების სახით ვალიუტის და საქონლის ცნობებს, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს ვაჭრებისათვის.

თუმცა განახლებული ბირჟა მხოლოდ ერთი თვეა რაც შეუდგა მოქმედებას, მაგრამ ამ მცირე ხანშიაც კი მას დაეტყო სამჩნევი გამოცოცხლება და მოიპოვა საკმაო ნდობა. იგი აწარმოებს როგორც სავალიუტო, ისე საქონლის ოპერაციებს, მოიპოვა საქონლის საწყობები საუკეთესო ადგილას, გაიჩინა სააუქციონო დარბაზი და შექმნა საარბიტრაჟო კომისია.

ბათ. ბირჟის წესიერ ფუნქციებს წინ ეღობება ამ ჟამად ორი დიდი დაბრკოლება: 1. ეგრედწოდებული შავი, (ფარული) ბირჟები და 2. ვაჭრობის დიდი კრიზისი, გამოწვეული საბაჟოს ახალი ნიხრით და ფრიად გადიდებულ საორწავო გადასახადებით.

შავს, ფარულ ბირჟებს ბათომში ეძახიან იმ სავაჭრო-საკომისიონერო კანტორა მაღაზიებს, რომლებიც ბლომად მოიპოვება მიხეილის, ქუთაისის, ლორის-მელიქოვის და თათრის ქუჩებზე, ჰყავთ დაქირავებული ბნელი აგენტები, ფართოთ და დაუსჯელად აწარმოებენ სავალიუტო ოპერაციებს. სწორედ ესენი არიან, რომ ავრცელებენ ბირჟის შესახებ ცრუ ხმებს, აშინებენ ხალხს და სხვა და სხვა ფანდებით ხიბლავენ ვაჭრებს თავის სოროებში მეტად გაქნილ აგენტების საშუალებით. ეს კანტორებია, რომ ხელოვნურად სცემენ და სწევენ სხვა და სხვა ვალიუტის ღირებას, რაც იწვევს ბაზრის ფასების რყევას, მით მოაქვთ საგრძნობი ზიანი როგორც სახელმწიფოსთვის, ისე ვაჭრობა-მრეწველობის მიმართ; ამავე დროს კი ასეთი მახინაციებით თვითონ იტენიან ჯიბეებს. სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს, რომ ამ მავნე მოვლენას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, აიკრძალოს ეს ბნელი „ბირჟები", ეს მავნე კანტორები და სასტიკად აეკრძალოთ მათ ფულების დახურდავება.

არსებობს ბათომში ერთად-ერთი ოფიციალური სავაჭრო-სავალიუტო ბირჟა და მხოლოდ იქ უნდა ხდებოდეს, ბირჟის პასუხისმგებელ კეთილსინდისიერ მუშამავალთა დახმარებით, ყოველგვარი სავალიუტო ოპერაციები. ამას მოითხოვს როგორც სახელმწიფო, ისე ვაჭარ-მრეწველთა ძირითადი ინტერესები.

შევეხოთ მეორე საკითხს, ე. ი. საბაჟო ნიხრსა და საორწავო გადასახადებს. ეს ერთი თვეა რაც, შემოიღეს ახალი უცნაურად გადიდებული საბაჟო ნიხრი ევროპიდან შემოტანილ საქონელზე. ამ ახალმა ნიხრმა დიდი გავლენა იქონია ბათომის ბაზარზე და ერთიორად და ერთი ხამად გააძვირა ფაბრიკატები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია საზოგადოების და მუშათა ხელფასის სიძვირე და მით დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ხალხი.

ასეთი მოვლენა, ეჭვი არაა, ძლიერ ვნებს ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიურ-ეკონომიურ მისწრაფებას და ფრიად ართულებს ისედაც გამწვავებულ ცხოვრების საკითხებს.

ეს ახალი საბაჟო ნიხრი პირდაპირ აკრძალვითი სისტემის შედეგი, იგი თვით აკრძალვაა დამუშავებულ საქონლის ევროპიდან შემოტანის. ვის დასჭირდა ასეთი აკრძალვა? იგი დასჭირდა ცენტრს, რუსეთს, რომ მოსპოს ამიერკავკასიაში ევროპის ფაბრიკატები და უმეტოქოთ გაუხსნას ჩვენში ბაზარი თავის ნაწარმოებს, როგორც ეს იყო ძველად.

ადვილი მისახვედრია, თუ რა სამწუხარო შედეგი მოყვება ასეთ აკრძალვას, ასეთ უსაზღვროდ გადიდებულს საბაჟო ნიხრს როგორც კერძოდ საქართველოსათვის, ისე მთელ ამიერკავკასიისათვის. ბათომი ხომ უკვე კარგავს თავის მნიშვნელობას; აქ ყოველ დღე ეცემა ვაჭრობა და რაც შეეხება საორწავო გადასახადებს, ეს იმდენად დიდია ბათომში, რომ, მეტადრე ახლა, სულს უხუთავს ვაჭარ მრეწველთ, იწვევს საქონლის უზომო გაძვირებას და მით საშინელ კრიზისს, ამის გამო ბევრი ვაჭარი გაკოტრდა და დაკეტა მაღაზია-კანტორები, ბევრი კიდევ სულს დაფავს და ზოგი თუ კიდევ ცოცხლობს, ეს იმის გამო, რომ იწევა საიდუმლოდ სხვა და სხვა ბნელ სპეკულიაციას, როგორიც მაგ., ვალიუტის დახურდავება, ოქრო-ვერცხლის და ძვირფასი თვლების ჩუმად გაპარება საზღვარგარეთ და სხვა ამისთანა მახინაციები, რაც ვიმეორებ, დიდ ზიანს აძლევს როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხისა და კომერციის ინტერესებს. ამას ზედ ერთვის კიდევ ის სამწუხარო მოვლენა, რომ ზოგი ვაჭარ-მრეწველი იხარკება საარაკო დიდი გადასახადებით, ზოგი კი მეტად მცირედით. აქ არ არსებობს მართალი საზომი. ბათ. ვაჭარ-მრეწველთა კანონიერ დაბეგვრას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება ხარჯთ ამკრეფ უწყების მიერ და საზოგადოთ უნდა შემცირდეს უზომოთ დიდი გადასახადები, რომლებიც დუპავს ბათომის ვაჭრობას.

— ვაჭრობა-მრეწველობა მეტად რთული და სათუთი რამაა. იგი მთავარი ძარღვია ერის და სახელმწიფოს ნივთიერ ცხოვრების. ამიტომ მას ესაჭიროება შეგნებული ზრუნვა და მის სად მსვლელობას უნდა გაეხსნას ფართო გზა ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისი, მისი დაავადება იმავე დროს სახელმწიფოს ფინანსების და ეკონომიკის დაავადებაა. ამ უკანასკნელთა დასწრება კი თავის მხრივ ასნეულებს სრულიად სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებას, აძვირებს და აძნელებს ხალხის ფიზიკურ ცხოვრებას, იწვევს ხალხში სიღარიბეს და მათ მმართველთა წინააღმდეგ უკმაყოფილებას და აშფოთებას. ამიტომაც ჩვენმა [illegible] თა კომისარიატმა ამ ფრიად მავნე მოვლენას უნდა მიაქციოს სასწრაფოდ ჯეროვანი ყურადღება და დროით [illegible] მონ. ვიმეორებ, ცენტრის ახალი პოლიტიკის მეოხებით ჩვენს ნორჩ რესპუბლიკის ფინანსებს და ეკონომიკას მოელის დიდი საფრთხე...

დროით ჩავუკვირდეთ ამ მოვლენას და დროით მივიღოთ საჭირო ზომები.

**მესხეთელი.**

1922 წ. ოქტ. 9.

# მოწერილი ამბები

## გურიის ვითარება.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

როგორც წინა წერილებშიაც აღვნიშნეთ, გურიის დღევანდელი ვითარება ფრიად უნუგეშოა. უნუგეშოა იმ მხრივ, რომ ხალხს არა აქვს საშუალება ცოტათი გაიუმჯობესოს ნივთიერი მხარე თავის ცხოვრებისა. მრავალგვარია გურიის ხალხის ტკივილები, მაგრამ შედარებით შეიძლება მისი შემსუბუქება, თუ დროზე იქნა ზომები მიღებული ვისგანაც ჯერ არს. პირველი საკითხი დღევანდელი გამორკვევა და დახმარება იმ პირების, რომლებიც დაზარალდა წყალდიდობამ. აქ დაყოვნება შეუძლებელია. ჩვენ გვეკვირის, რატომ დღემდე არ გაკეთდა ეს. რომ წყალდიდობამ არ გაენადგურებია წლევანდელი სიმინდის მოსავალი გურიას თამამად ეყოფოდა. დღეს კი საეჭვოა ეს. ამიტომ სასურსათო გადასახადისაგან უნდა განთავისუფლებულ იქნას ეს მხარე თუ არა, დაზარალებული თემები მაინც. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა უნდა ითავოს და შესაფერისი დახმარება უნდა გაუწიოს წყალდიდობისაგან დაზარალებულ სოფლებსა და დაბა-ქალაქებს.

**რკინის გზა.** როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ოზურგეთის რკინის გზა უკვე დაწყებულია. მიუხედავად იმისა, რომ წყალდიდობამ დიდათ დააზარალა და შეაფერხა მუშაობა—დღეს მაინც შესაძლებელი გახდა მისი განახლება და მოსალოდნელია ამ სამი-ოთხ თვეში, თუ ასე გასტანა მუშაობამ, გზის გაყვანა დასრულდეს. ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის ისტორია ცოტა არ იყოს ძველია. ეს სურვილი დიდი ხანია აღძრა გურიის მოწინავე პირებს შორის, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა მისი განხორციელება, ეხლა ეს სურვილი ხორცს ისხამს.

დიდი მნიშვნელობა აქვს რკინის გზის გაყვანას გურიისათვის. ეს ფრიად მოზრდილი მხარე ურკინისგზობის გამო ვერ მოისვენებს თუ რაგვარ დაბრკოლებას და გაჭირვებას არ განიცდიდა. მარტო ნატანებიდან ოზურგეთამდე ეტლებით მგზავრობის სურათები რომ წარმოიდგინოთ, საკმაოა ამის გათვალისწინება თუ რამდენ ტანჯვას იტანს ამ მანძილის გავლის დროს მგზავრი. აქ მოსალოდნელია გაძარცვა, გზის უვარგისობის გამო რომელიმე ხიდზე გადაჩეხვა, ჩხუბი მეეტლეებთან, მგზავრებისადმი არა ზრდილობიანი მოპყრობის და სამგზავრო პირობების აუტანლობის გამო და სხვა.

ამ რკინის გზას გურიისათვის აქვს პირდაპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა. გურია ცნობილია, როგორც სამეურნეო მხარე. აქ შედარებით არა ნაკლებ სხვა მხარეებისა მოდის: თხილი, აბრეშუმი, ხილეულობა, ღვინო, დაფნის ფოთოლი, ჩაი და სხვა. დღემდე ხსენებული საგნები უვარდებოდა სოფლის ჩარჩ-სპეკულიანტებს ხელში ჩალის ფასად. ამის ერთი მიზეზთაგანი იყო ურკინისგზობა. რკინის გზის გაყვანა კი ამ გარემოებას საკმაოდ გააუმჯობესებს. დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა გლეხს საშვალება მიეცემა მისი სამეურნეო საგნები თვითონვე გაიტანოს მახლობელ ქალაქის ბაზარზე, ან სახლშივე მიყიდოს მუშტარს, რომელსაც მოიყვანს თავისუფლად რკინის გზა. ერთი სიტყვით რკინის გზა გამოაცოცხლებს დღეს ნახევრად მკვდარ მხარეს, გამოაძრავებს, გააძლიერებს, ოდნავ მაინც ეკონომიურად, დაეხმარება კულტურულად ამაღლების საქმესაც. ეს კი დიდი საქმეა.

აღსანიშნავია, რომ გზის გაყვანის საქმეს დიდი ყურადღებით და მეტი დახმარების გაწევით ხვდება ხალხი. მუშაობა სწარმოებს მორიგეობით თვითეულ თემის მცხოვრებლებისა. ვერავის ვერ შეატყობთ დაზარებას და ყოყმანს, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა შედარებით არა ნორმალურ პირობებში სწარმოებს და სასყიდელსაც არავინ იძლევა. ეს იმას მოწმობს, რომ გურიის ხალხმა იცის ამ დიდი საქმის

განხორციელების მნიშვნელობა. ამნაირ შრომას მიეწერება, რომ ასე ცოტა ხნის განმავლობაში გზის მოხვეწა ნახევარზე მეტი დასრულებულია. ჩვენ იმედი გვაქვს დაწყებული დიდი საქმე ბრწყინვალედ დაგვირგვინდება გურიის ხალხის ენერგიული შრომითა და მთავრობის დახმარებით.

**ყაჩაღები.** არასოდეს არ მიუღია ყაჩაღობას ასეთი ეპიდემიური ხასიათი გურიაში, როგორიც დღეს. ამ მხრივ მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. ისე გახშირდა და გამრავლდა ასეთ პირთა რიცხვი, რომ აღარ იცი ხვალ რა სახეს მიიღებს. ხშირად ეს მოვლენა საშინელ სახეს იღებს. არის შემთხვევები, როცა ეს ხალხი აიღებს ხოლმე რომელიმე მხარეს და ბატონობს სანამ მოეპრიანება. არის შემთხვევები საშინელი, კაცის კვლა ისე გახშირდა, როგორც არასოდეს, არის ქურდობა-თავდასხმები და მრავალი სხვა. საკვირველი აგრეთვე ის არის რომ ასეთ როლს ხელს კიდებენ სრულიად სასაცილო ახალგაზრდა ყმაწვილები, წინეთაც იყვნენ ყაჩაღები გურიაში, მაგრამ არა ასეთები, წინანდელი ყაჩაღების უმრავლესობა გარეგნობით და მოქმედებითაც ვაჟკაცები იყვნენ, მათი მოქმედება არ იყო ასე ქურდბაცაცური და სრულიად უნამუსო ხასიათის—დღეს კი ასე არ არის. უმრავლესობა დღევანდელ ყაჩაღებისა არის უსაქმური ახალგაზრდობა, გზა აბნეულ უპატრონო ბიჭ-ბუჭობა, რომელიც არ ინდობს თავის მეზობელს, მოძმეს, მტერსა და მოყვარეს. ეს მოვლენა დღეს ძლიერ დამაფიქრებელია. მის წინაშე ბრძოლა დიდი ხანია დაწყებულია, როგორც მთავრობის, ისე თვით ხალხის მიერ მაგრამ მაინც არ ნელდება იგი. ბევრი მათგანი დაიხოცა, ბევრი დააპატიმრეს, ბევრი შეურიგდა მთავრობას განსაზღვრულ პირობებში—მაგრამ ეს არ ამცირებს უკანასკნელთა რიცხვს, იგი დღითი დღე იზრდება. ეს მოვლენა მეტად დამაფიქრებელია. მე ვიხილე ისეთი ოჯახის შვილები მოყაჩაღეები, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო ჩემთვის მისი წარმოდგენა. თუ ასე გაგრძელდა, პირდაპირ დამღუპველ შედეგებამდე მივალთ. უნდა აღინიშნოს, რომ აქ დიდი ბრალი ედება თვით ხალხს ასეთ პირების გამრავლების საქმეში. მარტო მთავრობა, რაგინდ ძლიერიც არ იყვეს იგი, ვერას გახდება, თუ ხალხი არ სდევნის ყაჩაღებს. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხალხი სდევნის მათთქო მაგრამ შედარებით ეს უმნიშვნელოა. რომ ასეთი პირების შენახვას არავინ უწყობდეს ხელს, მაშინ დარწმუნებული ვართ ერთი ყაჩაღიც კი ვერ გაიკეთებდა სოფლად. და ყველაზე მეტი ზიანი და უბედურება კი ამ სოფლის მიერ დაფარულ პირებს იმავე სოფლისთვის მოაქვთ. სოფელმა უნდა შეიგნოს ეს და სასტიკი და დაუნდობარი ბრძოლა გამოუცხადოს ყაჩაღებს მთავრობასთან ერთად.

**კოოპერატივები.** იყო წლები, როცა გურიაში სოკოსავით მრავლდებოდა კოოპერატივები. ეს სასიხარულო მოვლენაც იყო, რადგან ხალხმა თითქოს შეიგნო მისი მნიშვნელობა. მართალია მაშინ საამისო დროც იყო, შედარებით ამ მხრივ საგულისხმო მდგომარეობაშია გურია. კოოპერატივების დღეები თან და თან ითვლება, ზოგან კი უკვე დაითვალა ასეთი დღეები და კიდევაც მიიცვალა მათი ხსენება ამ დღეების დათვლასთან. ამან კი ხალხში ერთხელ კიდევ შეარყია რწმენა იმისა, რომ შესაძლებელია რაიმე სახალხო იდეამ, საქმემ იცოცხლოს და გაიხაროს. აღსანიშნავია, რომ აქ ხალხის საყვედურს საფუძველი და გამართლება აქვთ, რადგან არ იქნა დაფასებული და პატივცემული ეს ნდობა და სიყვარული საერთო საქმისადმი. ჩვენში ყველაფერი თითქოს ნაბაძვის ხასიათისა და ზერელე სიცრუის ელფერის მატარებელი გამოდგა, ეს ითქმის ჩვენს კოოპერატორებზე. მე ვიცი ერთი თემის კოოპერატივი, რომელიც შიგადაჯერ გაბაჭყავეს პირდაპირ და უკანასკნელად კი განუტევა სული. ასეა მრავალ ადგილებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოზურგეთის კავშირის არსებობას ეს მოვლენა დამახასიათებელია ჩვენი მოუმზადებლობისა და უიმედობისა. ამ დიდ საქმეს—კოოპერატიულ შეკავშირების იდეას—ეკარგება ნიადაგი ასეთი მაგალითების შემდეგ. ვისი ბრალია ყოველივე ეს? რასაკვირველია მათი, ვინც განზრახ თუ უნებლიეთ ვერ აფასებს ხალხის ნდობას ან და ბოროტად იყენებს მას. ჩვენ ვფიქრობთ რაც დრო გავა, ასეთ სურათებს კიდევ ბლომად ექნება ადგილი, ვიდრე არ მოგვარდება სოფლის კოოპერატივების ორგანიზაციის საქმე ისე, როგორც ამას მოითხოვს იდეია კოოპერატივისა.

ელი.

# თეატრი და ხელოვნება

### თეატრალური ხელოვნების პერსპექტივები ჩვენში.

საქართველოს კულტურულ აღორძინების საქმეს დიდათ აფერხებდა ის ობიექტიური გარემოებანი, რომელშიაც ისტორიულად მომწყვდეული იყო ჩვენი ერი.

საქართველოს ისტორიის სივრცის ეკრანზედ ჩვენ ვხედავთ ომის განუწყვეტელ სერიებს, რომელთა პროცესს ერი ანდომებს მთელს თავის შემოქმედების სიძლიერეს. მხოლოდ ანტრაქტებში, როგორიც არის „ოქროს ხანა", როცა საქართველო ძლიერი არის პოლიტიკურად და ეკონომიურად, ძლიერი არის მისი ინტელექტუალური შემოქმედებაც, მიუხედავად იმისა, რომ ის ისევ ჩაზმულია მთელ რიგ ომების ფერხულში. საქართველომ შოთას თვალებით მეთორმეტე საუკუნიდან გასჭვრიტა ათეული წინამორბედი საუკუნეები. ამ ანტრაქტში ჩვენ ვსტკბებით ტრიუმფალური ელლინიზმით და პოეზიის დღესასწაულით. თამარის შემდეგ საქართველო მუდმივი ომებით და მისი შედეგებით სუსტდება და ერის ინტელექტუალური შემოქმედების ბარომეტრიც ძირს ეშვება. შემდეგ, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, ქართველის ხმალი ქარქაშში ჩაეგო, მაგრამ გაცრუვდა იმედი—ერი სასოწარკვეთილებამ მოიცვა და ბარათაშვილის თვალებით ცრემლი დაღვარა. ეს იყო მეორე ანტრაქტი, რომლის დროსაც ქართველის სულში მელანქოლიამ დაისადგურა.

გზლა, როცა საქართველოს განთავისუფლების ერა დაიწყო, აქვს გარეშე, ფრთას გაშლის მისი გენიაც. ჩვენში უკვე დაიწყო აღორძინების ხანა. ვცდილობთ დავიპყროთ და მოვახმაროთ გიგანტი მდინარეების ტიტანიური ძალა, ვთხრით დედა-მიწის სიღრმეს სიმდიდრის ამოსაკრეფად; ვიწევით მიზანშეწონილ ბრძოლას სამეურნეო ფრონტზე. ამ დიად პროცესთან ერთად საჭიროა სწრაფმოქმედი შესაფერისი მუშაობა კულტურულ ფრონტზედ.

ერის კულტურული აღორძინება და მისი წარმატება შესაძლებელი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც სათანადო დონეზედ სდგას მისი კულტურის ყოველი დარგები.

ჩვენში თეატრის საკითხიც ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ.

თეატრს არასდროს არ ჰქონებია ისეთი ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როგორც დღეს. ჩვენში გარეგნული შეხედვით, თითქოს, დიდი ყურადღება ექცევა თეატრებს მაგრამ თუ სინამდვილეში ჩავიხედავთ, არაფერიც არ არის ამის მსგავსი. მხოლოდ ქრონიკებში წავაწყდებით ორიოდე სტრიქონს თეატრის შესახებ.

თუ უწინ, ანტიურ საუკუნეებში თეატრი იყო უმთავრესად გასართობი საშუალება არისტოკრატიისათვის, შემდეგ ამ მნიშვნელობას მიემატა გაბატონებული კლასების (ბურჟუაზიის) ინტერესების სამსახური—დღეს, ყველა ამასთან ერთად, და უმთავრესად კი, თეატრი არის ყოვლისმომცველი უნივერსიტეტი საზოგადოების ყოველ მხრივ აღმზრდელი. ის არის პანთეონი, სადაც ისმის ქურუმთა ლოცვა ქვეყნის გარდაქმნაზედ და ახალი ცხოვრების შექმნაზედ; სადაც ანთია კანდელი და შარავანდედი ეფინება გარემოს, სადაც ფართო მშრომელი მასსა ეცნობა ყველაზედ უფრო მარტივი საშუალებით ცხოვრების საიდუმლო მხარეებს, ის ერკვევა სინამდვილეში, რომელიც ქაოსით იყო მისთვის მოცული, ისმენს სფინქსიდან მონოლოგებს და ეცნობა ადამიანის ფსიხოლოგიას, ადის ცხოვრების ლაბირინთში, სწავლობს და იმახსოვრებს გასავალ კარებს. მის წინ გაივლის სცენაზე საუკუნეების ისტორიის კარნავალი, ის არის მოწამე ორ მოპირდაპირე ძალთა შორის ჭიდილის და კოლლიზიის; ჩნდება მასში სიმპატია და ანტიპატია მოპირდაპირე გმირების მიმართ, რომელთა განცდა მასშიაც იწვევს ემოციას. ყველა ამით მასში გროვდება ენერგიული ბრძოლის პოტენციალი.

ძალიან სუსტია ჩვენი დრამატურგია. ძალიან ღარიბია ჩვენი რეპერტუარი. დრამატიულ ნაწარმოებების სარჩევში აქა-იქ წავაწყდებით ვარგისიან დრამებს მიბაძვა და განმეორება არის ერთი და იმავესი, მხოლოდ სხვადასხვა ფერადიან სიტყვებით. ჩვენ არა გვყავს ნამდვილი ორიგინალური დრამატურგი ამ ცნების ფართო შინაარსით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე გამონაკლისს.

ჩვენი ისტორიული წარსული და თანამედროვე ყოფა დიდ მასალას იძლევა დრამატიული ხელოვნებისათვის. მხოლოდ საჭიროა რომ ფერად სახეებში ჩამოაყალიბოს დაუმუშავებელი მასალა.

როგორც ვხედავთ დრამატურგიისათვის ჩვენში ვებერთელა აუზია, რომლის დაშრობას ვერ შესძლებს ათეული საუკუნეების ასეული დრამატურგები. ჩვენს მთების მწვერვალებს უნდა მოევლინოს ოლიმპიდან მელპომენა. ჩვენ მოველით გენიით ამეტყველებულ საკუთარს ხელოვანს, რომელიც იქნება თანამედროვე კულტურის პირმშო შვილი, მშობლის ატრიბუტებითა და ცხოველი ტემპერამენტით, და რომელიც მხატვრულ ფერადებში ასახავს მთელს ჩვენს ტრაგედიას.

თითქოს რევოლიუცია იყო საჭირო, რომ ქართველს ქართული ოპერა მოესმინა, და მართლადაც, ურევოლიუციოდ ვერც ასე ადრე მოისმენდა. დღეს ოპერა ჩვენში თითქმის უფრო ჩქარი ტემპით მიდის, ვიდრე დრამა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ის პირველად ეფინება ქართველს. წყურვილმა დასძრა მკვდარი წერტილიდან საუკუნეებით დაგროვილი ენერგია და მისი მოძრაობის აჩქარება თანდათან მატულობს: საქართველო იტალიასავით მუსიკალური მხარეა, მის მრავალფეროვან მუსიკაში ყველაფერი მუსიკალურს დიდი, მომავალი აქვს ქართულ ოპერას.

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენში კინოსაც დიდი ყურადღება ექცევა. უნდა ითქვას, რომ კინო ფენომენალური მოვლენა არის თეატრალურ ხელოვნებაში; ის მეტეორივით მოევლინა მსოფლიოს და ელვის სისწრაფით მოედო კაცობრიობას და მის ყოველ კუთხეში შეიჭრა. სატახტო ქალაქები, დაბები, სოფლები და თვით უდაბნოს ყრუ ადგილებშიც მისი სამონოპოლიო ახალშენებია. დღეს კინოს თეატრზედ ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს და შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში—მეტიც. ერთი იმიტომ, რომ თავისი ტექნიკური სიმარტივით უახლოვდება საზოგადოების ფართო მასსას და ხელმისაწვდომია მისთვის. მეორედ თეატრი მისწვდა თავის განვითარების ზენიტურ წერტილს. კინოს კი ჯერ არ უთქვამს. ტექნიკა ცდილობს ამეტყველოს სურათები ლენტებზედ; ის გაიმარჯვებს და ამით კინოს კიდევ მეტი ღირსება მიეცემა; მესამე—თეატრი (დრამა) თუმცა უფრო ეხება ცხოვრების რეალობას, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებას ისე მობეზრდა სინამდვილე, რომ ზიზღით უცქერის მის საშინარ ჩონჩხს. ის ნატრობს იდეალურ სამეფოს, რომელიც მხოლოდ ფანტაზიაში არსებობს. ფანტაზია კი კინოს საშუალებით სურათებში ისახება და რეალური სახით ეძლევა საზოგადოებას. კინოსაც ისეთივე ნოყიერი ნიადაგი აქვს ჩვენში, როგორც დრამას და ოპერას.

ყაზბეგის, ნინოშვილის, ბარნოვის და სხვ. რომანების გადაღება საქართველოს ბუნების წიაღში, ამერიკულ სურათებზე ნაკლები არ იქნება. ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე ქართული არშიები: „ქრისტინე", „ჯორჯიაშვილი", „სურამის ციხე" და შეიძლება მალე მოგვევლინოს ყაზბეგის „მოძღვარი"-ც. ამათ უნდა მოჰყვეს მრავალი სხვა.

ჩვენი თეატრის აღორძინებისათვის საკმარისი არ არის, რომ ჩვენი ლიტერატურა თეატრალურ ხელოვნებაში საკმაოდ მდიდარი იყოს. საკითხს მეორე მხარეც აქვს [illegible]; მსახიობთა პერსონალური შემადგენლობა სავსებით შესძლებს თუ არა ნაწარმოების დაძლევას და მის შინაარსის სწორ გამოქანდაკებას? ამ მხრივ მდგომარეობა არ არის მთლად უნუგეშო. ჩვენ გვყავს მრავალი ნიჭიერი მსახიობი. ჩვენში რომ ყოფილიყო კარგად მოწყობილი დრამატიული სტუდია, ჩვენ გვეყოლებოდა მსახიობთა ძლიერი კადრი.

მართალია მრავალჯერ დაარსებულა ასეთი სტუდიები, რომლებიც თავის პროლოგში დიდ იმედებს გვაძლევდნენ, მხოლოდ ეპილოგში, ობიექტიური თუ სუბიექტიური პირობების გამო, დაღონებაში გვაყენებდნენ, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ სარგებლობა არ მოუტანია მათ ხანმოკლე არსებობას. პირიქით, დაუფასებელი სამსახური გაუწიეს ჩვენს თეატრს მსახიობების შექმნაში.

დღეს, როგორც არასდროს, უფრო მტკიცე ნიადაგზედ დამყარებული დრამატიული სტუდია, რომელიც შეასრულებს თავის მისსიას.

ამის თავდებია მისი ხელმძღვანელი აკაკი ფაღავა, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და იმედი გვაქვს შესაფერისადაც დააგვირგვინებს.

იმედს გვიორკეცებს მასწავლებელთა საუკეთესო შემადგენლობაც. სტუდია ყოველმხრივ უზრუნველყოფილი უნდა იქმნეს. ამას ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

აქვე უნდა ვსთქვათ კიდევ განმეორებით, რომ თუ ჩვენ გვექნება კარგი დრამები, თვით ისინი შექმნიან კარგ მსახიობებს. როცა დრამა თხოულობს კოლოსალურ ტიპს, ცხადია, მეტი ცდა იქნება მსახიობებში ამ ტიპის განსახიერებისათვის. მაშინ ისინი კიდევ უფრო დაჰკიმავენ ენერგიას ამ გმირის დასაძლევად.

ასეთივე ყურადღება უნდა მიექცეს ოპერის და კინოს აქტიორების შექმნასაც.

თუ დავამუშავებთ და მოვიხმართ ჩვენს სიმდიდრეს ამ სფეროში, ქართული თეატრალური ხელოვნება ისე აყვავდება, როგორც თვით საქართველო გაზაფხულზედ.

ი. ხინველი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. [illegible]
გამომცემელი—[illegible]

**მოპარეს** ოქტომბრის 13-ს სრ. საქ. ცენტრალ. აღმასრ. კომიტეტის წევრობის მოწმობა (წიგნაკი) № 32, რკინისგზის უფასო ბილეთი № 16 ვადით ა. წ. დეკემბრის ათამდე და ტფილისის მუშათა და გლეხთა საბჭოს წევრობის მოწმობა № 323/86, აგრეთვე სრ. საქ. ც. ა. კ—ის ვერცხლის ჟეტონი.

ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტები ითვლება გაუქმებულად.

პარმენ ჭანიშვილი.

**დაკარგა** სალექციო წიგნაკი და პირადობის მოწმობა სამეურნეო დარგის 1 კურსის სტუდენტის არჩილ მიქაშავიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 331 1—1

განუსაზღვრულ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ბარბარე (ვარო) იოსების ასული აბაშიძისა, მამა გიორგი (ბიჭია) ანტონის ძე აბაშიძე, ბიძა დეკანოზი ირაკლი აბაშიძე მეუღლით და შვილებით, და ელისაბედ გიორგის ასული და სიძე ვლადიმერ ასლანის ძე ჯაფარიძენი შვილებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთ, რომ სოფ. ქალაში (საჩხერის რაიონი) უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე აბაშიძე**

ცხედრის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, ოქტომბრის 19-ს სოფ. ქალაში (საჩხერის რკინის გზის სადგურიდან რვა ვერსის მანძილია).

2—1

# სახელმწიფო ოპერის თეატრი

**სამშაბათს, 17 ოქტომბერს**

## კ ა რ მ ე ნ ი.

ოპერა 4 მოქ. მუს. ჟ. ბიზესი.

**ოთხშაბათს, 18 ოქტომბერს:**

## სეველიელი დალაქი.

ოპერა 3 მოქ. მუსიკა როსინისა.

**ხუთშაბათს 19 ოქტომბერს**

## ფაუსტი და ვალპურგის ღამე

დასაწყისი საღამოს 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
კასსა ღიაა 11—2 საათამდე და საღამოს 6 წარმოდგენის დამთავრებამდე.

1—1

# ტფილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ 17 ამა ოქტომბერს დღითი 12 საათზე

## დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

მალაკნის მოედანზე და ნუნუფაროვის ეზოში მდებარე სასწორებზე.

კონდიციის გაგება შეიძლება ოთახი № 50 საიჯარო მაგიდის გამგესთან დარახველიძესთან.

59—6—4

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## ქალაქის აღმასკომის სასტატისტიკო საინფორმაციო განყოფილება

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ორშაბათს, ამ მიმდინარე ოქტომბრის 16-ში დაიწყება გამოკვლევა ყველა ქ. ტფილისში არსებულ დაწესებულებებისა. ამისათვის განყოფილება სთხოვს ყველა განყოფილებათა, რათა აღმოუჩინონ მას ყოველგვარი კანონიერი დახმარება ზემოაღნიშნულ გამოკვლევის შესასრულებლად.

**შენიშვნა:** გამოკვლევა იქნება შესრულებული აგენტების საშუალებით, რომელთაც ექნებათ მიცემული სათანადო მანდატები.

დედანს ხელს აწერს აღმასკომის თავმჯდომარე: **ლ. დუმბაძე.**
სასტატისტიკო საინფორმაციო განყოფილების
გამგის მოადგილე: **ჯანდიერი.**
2176—3—1 მდივანი: **ბასილია.**

# პირველ ხარისხოვანი სასტუმრო „ორიანტი"

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.

**საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი. სასტუმროსთან რ ე ს ტ ო რ ა ნ ი**

ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო

## მზარეულთა ზედამხედველობით.

საუზმე, სადილი, ვახშამი, სამღლები. სადილები ეძლევა ყველას 2—5½ საათამდე.

10—3 ფასები დაკლებულია.